7 ოქტომბერი საბჭოთა კონსტიტუციის დღეა

პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 197 (6252)

1979 წ. 7 ოქტომბერი პარასკევი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენი სახელმწიფოს უპირველესი კანონი

ერთი წელი გავიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებიდან. სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ" — ახალი შუქი მოჰფინა საბჭოთა სინამდვილეს, ჩვენი ცხოვრების სიდიადეს, ოქტომბრის დიდ მონაპოვარს, ყოველივეს, რაც შექმნილი და მოპოვებულია მშრომელი ადამიანის მარჯვენით, თავდადებული, გმირული შრომითა და ბრძოლით.

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია დამკიცდა, ძალაში შევიდა, დაიწყო მოქმედება, სიცოცხლე, მუშაობა მშრომელი ადამიანების საკეთილდღეოდ, ხალხთა ბედნიერი მომავლის დასამკვიდრებლად.

ახალმა საბჭოთა კონსტიტუციამ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მშრომელებში. ფაბრიკა-ქარხნების, საკოლმეურნეო მინდვრების მუშაკები ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებას უპასუხებდნენ გმირული შრომით, აჭარბებდნენ დოვლათს, რათა კიდევ უფრო მძლავრი და უძლეველი გაეხადარიყო საბჭოთა სახელმწიფო.

საბჭოთა ადამიანების გმირულ საქმეში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, რომლებიც ნაყოფიერ შრომასთან ერთად უფრო გულმოდგინედ მეცადინეობდნენ ფიზკულტურასა და სპორტში, რათა კიდევ უფრო ემრავლებინათ საბჭოთა კავშირის სპორტული პოტენციალი. ახალი კონსტიტუციის მოქმედებაში შესულამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენში ფიზკულტურისა და სპორტის წინსვლის საქმეს.

ჩვენი ქვეყნის ახალმა კონსტიტუციამ დიდი ამოცანები დაუსახა ჩვენს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის ფართოდ განვითარებისთვის. უნდა ითქვას, რომ საბჭოეთის ძირითადი კანონის მიღებისთანავე ჩვენს რესპუბლიკაში ფართო მუშაობა გაჩაღდა. საგრძნობლად გაიზარდა სპორტნაგებობათა ქსელი, ორგანიზაციულად განმტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივები, ფართო გაქანება ჰპოვა მასობრივმა ტურიზმმა, დიდი ყურადღება დაეთმო საცხოვრებელ ადგილებში სპორტნაგებობათა ქსელის, ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში მოსახლეობის ფართოდ ჩაბმის საქმეს.

საბჭოთა კონსტიტუციის მიღების პირველ წლისთავს დიდი წარმატებით შეხვდა ჩვენი რესპუბლიკა. სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა მეჩაიეებმა, ჩაის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს აღებული ვალდებულება. წარმატებით მიმდინარეობს რთველი, რაც იმის საწინდარია, რომ რესპუბლიკის მევენახეებიც შეასრულებენ სამშობლოსათვის მიცემულ სიტყვას. წარმატებებია მოპოვებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციით აღფრთოვანებული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კიდევ უფრო მეტი წარმატებებით გაახარებენ ჩვენს დიდ სამშობლოს და ამ დიდ გამარჯვებაში, რასაკვირველია, საქართველოს ფიზკულტურელების წვლილიც ხელშესახები იქნება.

სამამულო საჭადრაკო სკოლის ახალი გამარჯვება

მაია ჩიბურდანიძე — მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი



XV პარტია

ოთხშაბათს ბიჭვინთაში ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩში გათამაშდა მეთხუთმეტე პარტია. როგორც ვიუწყებოდით, პარტია დაუმთავრებელი დარჩა და გადაიდო გაფრინდაშვილის უპირატესობით. გუშინწინ პარტიაში თამაშის განახლებისას ჩიბურდანიძე შეუპოვრად ებრძოდა მუქარას. გაფრინდაშვილმა ვერ გამოიყენა ზედმეტი პაიკი და შეხვედრა 94-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

აი, ეს პარტიაც.

მ. ჩიბურდანიძე — ნ. გაფრინდაშვილი

უფიცევის დაცვა

1. e4 d6 2. d4 ∂f6 3. ∂c3 g6 4. ∂f3 ♏g7 5. ♏e2 c6 6. 0-0 0-0 7. a4 ∂bd7 8. a5 ♏c7 9. h3 ♏d8 10. ♏e3 ∂f8 11. ♏d2 ♏d7 12. ♏fd1 ♏e8 13. b4 e5 14. de de 15. ♏e1 ♏:d1 16. ♏:d1 ∂e6 17. ♏c4 ♏e7 18. ♏:e6 ♏:e6 19. ♏c5 ∂d7 20. ♏d6 ♏f8 21. ♏:f8 ∂:f8 22. ♏e2 f6 23. ∂d2 ♏e7 24. ♏c4+ ♏f7 25. ♏e5 ♏:c5 26. bc ♏d8 27. ∂ef1 ♏d4 28. ∂ge1 ∂e6 29. ∂b3 ♏a1 30. ∂gd2 ∂f4 31. a6 ba 32. ♏a1 ∂:g2 33. ♏:a6 ♏e8 34. ♏:a7 h5 35. ♏b7 ∂f4 36. f3 ∂gf8 37. h4 ∂e6 38. ∂d1 ∂:c5 39. ∂:c5 ♏:c5 40. ∂e3 ♏a5 41. ♏c7 (ჩაწერილი სვლა) ♏a8 42. ∂c4 ♏d8+ 43. ∂ge2 ♏d4 44. ∂e3 ♏d6 45. c4 ♏d8 46. c5 ♏d4 47. ∂ge1 ♏d7 48. ♏:d7 ♏:d7 49. ∂c4 ∂ge7 50. ∂gf2 ♏e6 51. ∂d6 g5 52. ∂gg3 ∂gd7 53. ∂b7 ♏b3 54. hg- fg 55. ∂a5 ♏d1 56. ∂c4 ∂ge6 57. ∂gf2 ∂gf6 58. ∂a5 ♏a4 59. ∂c4 ♏b5 60. ∂d6 ♏a6 61. ∂e8 ∂gg6 62. ∂d6 ♏d3 63. ∂ge3 ♏c2 64. ∂c4 ∂gf6 65. ∂gf2 ♏a4 66. ∂b6 ♏d1 67. ∂d7+ ∂ge6 68. ∂b8 ♏a4 69. ∂a6 ♏b5 70. ∂b4 ∂gf6 71. ∂gg3 ∂gg6 72. ∂c2 h4+ 73. ∂gg2 g4 74. ∂e3 gf+ 75. ∂g:f3 ∂gg5 76. ∂d1 ♏c4 77. ∂f2 ♏f1 78. ∂h1 ♏h3 79. ∂f2 ♏e6 80. ∂d3 ♏g4+ 81. ∂gf2 ∂gf6 82. ∂b4 ♏d7 83. ∂gf3 h3 84. ∂gg3 ∂ge7 85. ∂d3 ∂gf6 86. ∂b4 ∂gf7 87. ∂d3 ∂ge6 88. ∂g:h3 ♏e8 89. ∂gg3 ♏g6 90. ∂gf3 ♏h5+ 91. ∂ge3 ♏d1 92. ∂b4 ♏a4 93. ∂d3 ♏b5 94. ∂e1. ყაიმი.

ამრიგად, მატჩში გაიმარჯვა მაია ჩიბურდანიძემ ანგარიშით 8,5:6,5 (+4—2=9) და ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

* * *

ხურათზე: მ. ჩიბურდანიძე.
გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

თასი — თბილისელებს

ფიდაობა

ქუთაისში დამთავრდა პირად გუნდური პირველობა საქართველოს თასზე თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში რესპუბლიკის ექვსი უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა.

გუნდური პირველი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელმა ფალავნებმა მოიპოვეს. II ადგილზეა აფხაზეთის ნაკრები, ბრინჯაოს მედალი კი გორელ მოჭიდავეებს ერგოთ.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს თბილისელმა არჭიელებმა შ. და ვ. კოტორაშვილებმა, ზ. გულიაშვილმა, ტ. აბსავამ („კოლმეურნე"), ზ. ვარდოშვილმა („ბურევესტნიკი"), ნ. როსტიაშვილმა („განთიადი"), მ. მერმანიშვილმა („შრომითი რეზერვები"), აფხაზეთის წარმომადგენლებმა ი. ლეგაშვილმა და გ. ყურაშვილმა (ორივე — „კოლმეურნე"), გორელმა ვ. მოდოსიანმა („ბურევესტნიკი").

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდაეეთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა მარლენ ოსიყმაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— ასპარეზობამ მაღალ დონეზე ჩაიარა, მაგრამ, რატომღაც შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ აპარელი, კასპელი, საგარეჯოელი და სამტრედიელი მოჭიდავეები. დასანანია, რომ საქართველოს თასის გათამაშებაში ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სახელგანთქმული ფალავანი არ ასპარეზობდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ კიევში 5 ოქტომბერს დაიწყო საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც გამოვლენ ლ. თედიაშვილი, ნ. ჯაფაროვი, ჯ. ტარიელაძე... ამ დღეებში კი თბილისში მოეწყობა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების პირველობა, სადაც იასპარეზებენ ნ. მოდებაძე, ა. სულაქველიძე, გ. ქენქაძე, თ. გაბოძე, რ. ხუტაბა და სხვები.

ქუთაისში შესანიშნავად გამოვიდნენ სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრები გ. ყურაშვილი, ვ. გელაშვილი, ნ. როსტიაშვილი და ვ. მოდოსიანი. შესაძლოა, რომ ეს ფალავნები მომავალ წელს ჩვენი ქვეყნის მოზრდილთა ნაკრებშიც ვიხილოთ.

კონსტიტუცია მოქმედებს მშრომელი ადამიანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის სამსახურში

საქართველოს საწყლოსნო სახეობების მოყვარულებს უდავოდ დიდხანს დაამახსოვრდებათ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავი. სწორედ ამ ზეიმის დღეს თბილისში, სანაპიროზე საზეიმოდ გაიხსნება ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი, რომლის მსგავსი რესპუბლიკაში არსადაა და კავშირის მასშტაბითაც უნიკალურია.

მთავარი არქიტექტორის შ. ყავლაშვილის პროექტით აგებულ ამ ბაზას ახე ელოდნენ დედაქალაქის მოცურავეები, წყალში მხტომელები, წყალბურთელები, მოსახლეობა. დიახ, მოსახლეობაც ვინაიდან ამ კომპლექსზე მარტო სპორტული სრულყოფის ჯგუფები კი არა, ცურვის შემსწავლელი ჯგუფებიც იმუშავებენ, ცურვის უცოდინარი მოზარდები კი, თბილისში, როგორც ცნობილია, საკმარისზე მეტია.

სკკპ XXV ყრილობაზე და X ხუთწლედის დირექტივებში სათანადო ყურადღება დაეთმო მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეს, სსრ კავშირის კონსტიტუციის 41-ე მუხლში გარკვევით წერია, რომ სსრ კავშირის მოქალაქეთა დასვენების უფლებას უზრუნველყოფს... „გამჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება“... აი, ამ გამჯანსაღებელი ქსელის გაფართოებისთვის ბოლო წლებში რესპუბლიკის მთავრობა შეუუნელებლად ზრუნავს.

ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის მწყობრში ჩადგომა ხალხის, სპორტსმენების, ფიზკულტურელების კეთილდღეობისთვის ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა. მათი ხელმძღვანელობითა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის აქტიური დახმარებით ტრესტ „ინემშენმა“ მოკლე დროში შეძლო კომპლექსის საექსპლოატაციოდ მომზადება.

ამ ბაზის აგებით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა — მნიშვნელოვნად გადაიკვრება ჩვენს დედაქალაქში საცურაო აუზების სიმცირის პრობლემები, რადგან ერთდროულად ოთხი აბაზანის ამოქმედება ყოველდღიურად ათასობით ცურვის მოყვარულის მომსახურებას ნიშნავს.

„ინემშენის“ მმართველის ი. კირკიტაძისა და მთავარი ინჟინრის თ. ებრალიძის, კომპლექსის მშენებლობის უბნის უფროსის გ. ხუროშვილის, მთელი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ქვემოიჯარე ორგანიზაციების საქმიანი დახმარებით ჩინებული საქმე გააკეთეს.

კომპლექსის დაჩქარებას ხელი განსაკუთრებით შეუწყო თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოსა (უფროსი ზ. მამალაძე) და სარემონტო-სამშენებლო ტრესტის (მთავარი ინჟინერი თ. მეგრელაძე), „სანტექმონტაჟის“ (სამმართველოს უფროსი გ. ბოგანშვილი) და სხვა ქვემოიჯარე ორგანიზაციების მონდომებულმა მუშაობამ.

კარგად იშრომეს „საქსპორტმშენის“ (უფროსი გ. კორკოტაძე), „თბილწყალკანალტრესტის“ (ვ. მუმლაძე), ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოსა და სხვათა სპეციალისტებმა, მშენებლებს უდავოდ დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა ამ ქარხნის დირექტორის მოადგილის მ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით. მისასალმებელია, რომ ცხაკაიამ იმთავითვე გულთან მიიტანა ეს საშვილიშვილო საქმე და კომპლექსის კეთილმოწყობისთვის ბევრი კარგი წინადადება წამოაყენა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვითონვე დადებითად გადაწყვიტა.

თბილისის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი დედაქალაქის მშვენება და სიამაყეა. ამ ნაგებობით ერთნაირად შეუძლიათ თავი მოიწონონ თბილისის ფიზკულტურულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მათმა წევრებმა, რომლებიც საქართველოს სპორტკომიტეტისა და თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით მოწყობილ შაბათობებში მონაწილეობდნენ.

შაბათობების ორგანიზების თვალსაზრისით დიდი იყო, აგრეთვე, კალინინის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარება.

ის რად ღირს, რომ ამ კომპლექსის აგებით მთლიანად შეიცვალა მდინარე ვერეს კალაპოტი გმირთა მოედნიდან მის დასასრულამდე. ამ მოედნის რეკონსტრუქციასთან ერთად სპორტულმა კომპლექსმა შესანიშნავი პანორამა შექმნა, მაგრამ

...

...ბრებები, განსაკუთრებით პერსპექ... ...ტიულნი სპორტულ ჯგუფებში ჩაირიცხებიან და ოსტატობის შემდგომ სრულყოფას გააგრძელებენ, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შევსება მისცენ. სხვები მიიღებენ მოწმობას იმის შესახებ, რომ ცურვა იციან. მათ ადგილებს კი ახალი სამთვიანი ციკლით სხვები შეავსებენ და ასე შემდეგ.

სხვა უფრო საინტერესო გეგმაც გვაქვს. ბაზას საკუთარი ავტობუსი ეყოლება. ეს საშუალებას მოგვცემს მუშაობა გავშალოთ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებთან. ნორჩებს, რომელთა მშობლებიც სურვილს გამოთქვამენ, საბავშვო ბაღებიდან აუზზე ჩვენი ტრანსპორტით რეგულარულად მოვიყვანთ, ...ტრესტი „ინემშენი“ დედაქალ... ...ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სა... ...ნებლო ორგანიზაციაა, რომელ... ...ერთდროულად რამდენიმე ობიე... ...ტზე მუშაობს, ზოგჯერ გაკვირ... ...ბაც გვადგა, ხელშემშლელი პირ... ...ბებიც იყო, ხანდახან მშენებლობ... ...გრაფიკიც ირღვეოდა, მაგრამ ... ...ბოლოო ჯამში ყველაფერი კეთ... ...ლად დასრულდა — ქალაქს შეე... ...ტა შესანიშნავი ნაგებობა. მე ... ...პირმშოსავით მიყვარს, რადგან მ... ...თლაც პირმშოა — პირველი სპ... ...რტული ნაგებობაა, მით უმეტეს... ...ასეთი რამ საქართველოში არ... ...დაა და სსრ კავშირშიც ერთ-ერ... ...საუკეთესოა.

ამ საწყლოსნო სპორტული კო... ...პლექსის სახეიმო გახსნას ვულ... ...ცავ ჩვენი რესპუბლიკის მოცურ... ...ვეებს, წყალბურთელებს, წყალ... ...მხტომელებს, მათ რეზერვს ... ...ვუსურვებ ახალ-ახალი წარმატ... ...ებები მოპოვებინოთ საკავშირო ... ...საერთაშორისო სარბიელზე.

ბ. ხუროშვილი,
მშენებლობის უბნის უფროსი.



სურათზე: უკანასკნელი სამზადისი.

თქვენი ხერია, სპორტსმენებო!

მშენებლობაზე, რომ იტყვიან ჭიპი მაქვს მოწყვეტილი. სად არ მიმუშაოია, რა არ ამიგია, მაგრამ ასეთი რამ ბედმა პირველად მარგუნა— ეს ჩემი მრავალწლიან პრაქტიკულ საქმიანობაში პირველი სპორტული ნაგებობაა და რაოდენ კმაყოფილი ვარ, რომ იგი ასე კარგი გამოვიდა.

არ მეგულება ქართველი კაცი, რომელსაც სპორტი არ უყვარდეს, ახალგაზრდობაში, რომელიღაც სახეობაში „პარტიზანულად“ მაინც არ ეკარჯიშოს. მეც ცურვა ასე „პარტიზანულად“ სწორედ იმ აუზში ვისწავლე, რომელიც ადრე სანაპიროზე, ფიზკულტურელის პარკში იყო და ეს ბაზა მის სანაცვლოდ აიგო. მერე საბჭოთა არმიაში სამსახურისას ფეხბურთს ვთამაშობდი, მაგრამ ცხოვრებამ, წლებმა თავისი მოითხოვა და, რა თქმა უნდა, სპორტსაც ჩამოვშორდი, თუმცა ფიზკულტურაზე ხელი არ ამიღია — ჯანმრთელობის განსამტკიცებლად მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენს დედაქალაქს ჯანმრთელობის კიდევ ერთი ცენტრი შეემატა — ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში ჩვენი სპორტსმენების ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ცენტრი.

მშენებლობა დამთავრდა. დღეს ამ ბაზის საზეიმო გახსნაა, რის შემდეგ სულ მალე ახლადშექმნილი ორგანიზაცია მისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება — გაჩაღდება ჯგუფების საქმიანობა.

ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის მთავარი დანიშნულება გამჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლა, მოზარდებში ცურვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, დედაქალაქში საწყლოსნო სახეობებში სპორტული საქმიანობის ამაღლებაა...

აქ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოზარდებთან მუშაობას, მათთვის შემოღებული იქნება ცურვის სწავლების სამთვიანი ციკლი. ამ ხნის მანძილზე გამოცდილი სპეციალისტები მოზარდებს ერთ-ერთი ყაიდით ცურვას მაინც შეასწავლიან, რის შემდეგ მოეწყობა ე. წ. გამოსაშვები შეჯიბრები, განსაკუთრებით პერსპექ... ...ტიულნი სპორტულ ჯგუფებში ჩაირიცხებიან და ოსტატობის შემდგომ სრულყოფას გააგრძელებენ, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შევსება მისცენ. სხვები მიიღებენ მოწმობას იმის შესახებ, რომ ცურვა იციან. მათ ადგილებს კი ახალი სამთვიანი ციკლით სხვები შეავსებენ და ასე შემდეგ.

სხვა უფრო საინტერესო გეგმაც გვაქვს. ბაზას საკუთარი ავტობუსი ეყოლება. ეს საშუალებას მოგვცემს მუშაობა გავშალოთ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებთან. ნორჩებს, რომელთა მშობლებიც სურვილს გამოთქვამენ, საბავშვო ბაღებიდან აუზზე ჩვენი ტრანსპორტით რეგულარულად მოვიყვანთ, ...ვშვთა სპორტსკოლების ჯგუფებ... ...იმეცადინეებენ ოლიმპიური რეზერ... ...ვების მომზადების ცენტრის წევ... ...რები...

საწყლოსნო-სპორტულ კომ... ...ლექსს საკუთარი სპორტდარბაზ... ...ბი, სარეაბილიტაციო ცენტრი, ...აქტო დარბაზი, კვების ბლოკი ... ...სასტუმრო აქვს, ყველა ეს საშუ... ...ლებას იძლევა ჯგუფების, გუნდ... ...ბის, სპორტსკოლების, საქართ... ...ლოს ოლიმპიური რეზერვების ცენ... ...ტრის საქმიანობა სრულყოფილ... ...გავხადოთ. ოლიმპიური ცენტრ... ...წევრები ახლომახლო სკოლებ... ...ისწავლიან, რაც ერთი-ორად გაზ... ...დის ოსტატობის დონეს. ვარაუდ... ...ბენ, რომ გაისად აქ მოსკოვ... XXII ოლიმპიადისთვის მზადებ... ...ციკლს გაივლის სსრ კავშირის ნაკ... ...რები...

მაგრამ ეს ბაზა მხოლოდ სახწ... ...ვლო-საწვრთნელი დაწესებულებ... ...როდი იქნება. მაშინ რა საჭირო... ...ტრიბუნები, რომელზეც 5000 ად... ...გილია, პრეს-კორპუსი და სხვ... თბილისის ცენტრალური საწყლოს... ...ნო-სპორტული კომპლექსი სხვად... ...სხვა მასშტაბის შეჯიბრებების გან... ...რთვის კერაც იქნება. გაისისთვ... ჩვენს დედაქალაქში სწორედ ეს კომპლექსი უმასპინძლებს ცურვაში კანადა — სსრ კავშირის გუნდების მატჩს, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეხვედრასა და სხვა რანგის ტურნირებს. აქედან მოეწყობა ფერადი ტელეგადაცემები, რისთვისაც სპეციალური დანადგარებია გამართული.

ახლა ჯერი ჩვენზეა. კომპლექსის კოლექტივი, მწვრთნელები ყველაფერს გააკეთებენ მათ წინაშე დასმული ამოცანების ხარისხიანად გადაწყვეტისთვის, იმისთვის, რომ ამ ბაზაზე აღზრდილებმა თავიანთი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის სპორტული დიდების საქმეში.

ვ. გოიაშვილი,
ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის დირექტორი.

ამ დღეს ყველა შევხარით

ყველა მუშას, ვისაც ასეთ დიდ ობიექტზე მისი დაწყებიდან დამთავრებამდე უშრომია, სიხარული ავსებს, როცა ხალხის კეთილდღეობისთვის აგებულ შენობას დასრულებულს ხედავს. ჩვენც — აუზის მშენებლებიც ასე ვართ. იგი ყველას გვიყვარს, მის დღევანდელ დღეს ყველა შევხარით, რადგან ეს კომპლექსი ხალხთა ძმობის ერთგვარი სიმბოლოა — მის მშენებლობაზე ხელიხელჩაკიდებული ვმუშაობდით ქართველები, რუსები, თათრები, ბერძნები და სხვა ეროვნების ადამიანები.

ტრესტ „ინემშენის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ სწორედ აქ, ამ სპორტული კომპლექსის საძირკველის ჩაყრაზე თავი „მოგვიყარა მებეტონეებს — მე, ბერძენ ი. კელეშევს, რუს ი. ვორონკოვს, დურგალს ა. მარტიაშვილსა და კიდევ ბევრს, რომლებმაც ერთად შრომაში გავატარეთ ბაზის აქამდე მოსაყვანად საჭირო პერიოდი, სხვადასხვა ერის ადამიანების ერთად შრომა, მეგობრული ატმოსფერო, ერთმანეთისთვის ზრუნვა კი განპირობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციამ.

რაოდენ სასიხარულოა, რომ თბილისის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის სახეიმოდ გახსნა სწორედ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავის ზეიმს დაემთხვა. დაე, მომავალ წელს, კონსტიტუციის ორი წლისთავის უბილეზე ჩვენ, მშენებლებ... დედაქალაქის მშრომელებისთვის ... ...ლი საჩუქარი მიგვეძღვნას, ტრეს... „ინემშენს“ ამის უნარი შესწევს.

აუზის მშენებლები უსაზღვრო ბედნიერნი ვიქნებით, თუ ჩვენ ... ...ნახულავ აუზებში დაოსტატებულ ... ...საქართველოს სპორტსმენები თ... ...დათან შეავსებენ სსრ კავშირის ნ... ...კრებ გუნდებს და საერთაშორის... ...სარბიელზე წარმატებებს შრომობ... ...ბენ.

ვ. ბუსეიკოვი,
მუშა.

...ილდღეოდ, ბედნიერი მომავლის დასამკვიდრებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა



...ომანეთის მხარდამხარ

...ესტი „კურორტმშენი“ ერთ-...ა მუშაობავ ფიზკულტურის ...ექტივია გაგრის რაიონში. მი-...2200-მდე მუშა-მოსამსახურე-...ნახევარი ახალგაზრდობაა. აქ ...ანეთის მხარდამხარ შრომო-...ესები და აფხაზები, სომხები ...ართველები, უკრაინელები და ესტონელები, ბერძნები და აზერ-ბაიჯანელები. ისინი არც სპორტს ივიწყებენ. მრავალი მათგანი გაერ-თიანებულია სხვადასხვა სექციაში და ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის ლ. ბარციცის ხელმ-ძღვანელობით თავისუფალ დროს გატაცებით ვარჯიშობენ, დასვენე-ბის დღეებში აწყობენ ექსკურსი-ებსა და ტურისტულ ლაშქრობებს აფხაზეთის ღირსშესანიშნავ ადგი-ლებში, შეჯიბრებებს თევზჭერაში.

აქაურმა მშდ-ს მრავალუფლებ-მა გაგრის პირველობაზე ჩემპიო-ნის სახელი მოიპოვეს. ამ გამარჯ-ვებაში თავისნთი წვლილი შეიტა-ნეს მლესავებმა ნ. ალექსეევამ, კ. ლავრენტიევამ, გ. ბაბცევამ, მძღო-ლმა ზ. გუმბამ.

ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტს დიდ დახმარებას უწევს საზოგადოებრივი აქტივი. ფეხბურ-თელებს მეკუჭნავე გ. ქანჯარია წვრთნის, ფრენბურთელებს — ინ-ჟინერი ტ. პაველჩოვა, მისი კო-ლეგა ა. ავალიშვილი მოჭადრაკეებს ამეცადინებს. მაგიდის ჩოგბურ-თელებს ხელმძღვანელობს მუშა-მშენებელი გ. აკირტავა. სპორტის ოსტატი, კალატოზი რ. გიგინეიშ-ვილი ჰიდაობის სექციებს ხელმძ-ღვანელობს.

გ. დოლენჯაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: „კურორტმშენის“ საერთო საცხოვრებელში პირველ რიგში მარცხნიდან — გ. აკირტავა, ვ. ხარჩილავა, ბ. ბურჭულაძე, ვ. გაბისონია ტელევიზორის ეკრანზე თვალს ადევნებენ მსოფლიო პირველობას ფრენბურთში.

ავტორის ფოტო.

...თი წელი შესრულდა მას შე-...რაც ...ალაში შეედა სსრ ...ის ...ალი კონსტიტუცია — ...ცხოვრების ძირითადი კა-...ნსტიტუციის წლისთავი დაემ-...ბერთოს, როცა მთელი ჩვე-...ი წარმატებით იბრძვის X ...ლედის მესამე, გადამწყვეტი ...ეშმეხეადრი გეგმების შესა-...ებლად.

...ართველოს საწარმოების, ფა-...ქარხნების, კოლმეურნეობე-...ამეცნიერო-კვლევითი და სა-...ტო ინსტიტუტების ფიზკულ-...ი ორგანიზაციები ენთუზი-...ხვდებიან ამ ღირსშესანიშ-...ერ...ს.

...ს არც საქართველოს სსრ ...რაციისა და წყალთა მეურ-...ა საპროექტო ინსტიტუტი „წყალპროექტი“ ჩამორჩება ...ტორი (გ. ქობულია). მისი ...ი თანამშრომლებიდან 600 ...საზოგადოება „კოლმეურ-...ეერა, ასობით კაცი და ქა-...ფიზკულტურელი.

...ტუტში სპორტული ცხოვ-...ა, ...ალად დონეზე დგას, ამაზე ...ეტყველებენ კოლექტივის ...ოპოვებული სიგელები, ვიმ-...ედლები.

...„წყალპროექტის“ სპორტ-...ა ...ერთი წლის მანძილზე — ...ექტომბრიდან დღემდე ...ონისძიებაში მიიღეს მონა-...ა და გარკვეულ წარმატე-...მიიღეს. კოლექტივი სხვა მხრივაც კარგი მაჩვენებლებით ხვდება კონსტიტუციის წლისთავს.

საქმეს უნარიანად უძღვება ფიზ-კულტურის ინსტრუქტორ-მეთოდი-სტი ა. გურაშვილი. მისი ხელმძღ-ვანელობით ტარდება შეჯიბრებები ფეხბურთსა თუ კალათბურთში, ცურვასა თუ მაგიდის ჩოგბურთში. ეწყობა ტურისტული ლაშქრობები ქალაქგარეთ, კუსა და ლისის ტბებზე. ამ საქმეში მას დიდ დახმა-რებას უწევენ ინსტიტუტის პარ-ტიული, პროფკავშირული და კომ-კავშირული ორგანიზაციები.

ინსტიტუტში შექმნილია სპორ-ტული სექციები. განსაკუთრებით პოპულარულია ფეხბურთი და კა-ლათბურთი, ამ სახეობათა გუნდე-ბი რეგულარულად გამოდიან სა-რაიონო და საქალაქო შეჯიბრებებ-ში და მაღალ ადგილებსაც იკავე-ბენ.

კოლექტივში სათანადო ყურად-ღება ეთმობა სპორტის პროპაგან-დას — დერეფნებში მრავლადაა გამოკრული სპორტული პლაკატე-ბი, მშდ ნორმატივების ცხრილები. ყველას იზიდავს დაფა — „სპორ-ტი ჩვენი ცხოვრებაა“, რომელზეც ნათლად ჩანს კოლექტივის ფიზ-კულტურული საქმიანობა.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო ზრუნვას არ აკლებს თანრიგო-სანთა და მშდ ნიშნოსანთა მომზად-ების საქმეს.

ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივის წევრთა უმრავლესობა კომკავშირელია. მათ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ დამყარებუ-ული საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქ-ების საპროექტო-ინსტიტუტების სპორტსმენებთან. წლეულს უკვე უმა-სპინძლეს ხარკოველ წყალბურთე-ლებსა და ოდესის „წყალპროექ-ტის“ ფიზკულტურელებს.

ყოველწლიურად ეწყობა ალპი-ნიადები, რომლებშიც ინსტიტუ-ტის საუკეთესო მთამსვლელები მონაწილეობენ. კოლექტივის სია-მაყეა მთამსვლელი ქალი თ. ბილი-ხოძე, მან ამას წინათ კაცებთან ერთად დალაშქრა შხარა.

ინსტიტუტში დაიწყო სსრ კავ-შირის ახალი კონსტიტუციის წლი-სთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრებე-ბი განყოფილებებს შორის.

ზ. ჩიხლაძე.

ღირსეულად ხვდებიან

ტურიზმი

ჯანმრთელობის წყარო

ახალი კონსტიტუცია დიდი ამოცანების წინაშე აყენებს საქართველოში ტურიზმის განვითარების მესვეურებს, ამ საქმისთვის მოწოდებულ ორგანიზაციებს. ტურიზმმა ხომ დიდი კონსტიტუციური ალიარება ჰპოვა. ამ ალიარებიდან ერთი წელი მიილია.

როგორი მაჩვენებლებით ხვდება საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო ახალი კონსტიტუციის წლისთავს? აი, სწორედ ამაზე ვესაუბრებით ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯოხთაბერიძეს.

— **ჩვენმა** საბჭომ ახალი კონსტიტუციის წლისთავის შესახვედრად ვალდებულება აიღო ხუთწლედის გეგმა სამ წელიწადში შეესრულებინა, — გვეუბნება თავმჯდომარე. — აიღო და შეასრულა კიდეც 100 პროცენტით. დღეისთვის ტურისტების მომსახურეობისთვის 52 მილიონ 100 ათასი მანეთი დაიხარჯა. ეს კი 1980 წლის დონისთვის იყო გაანგარიშებული.

— ყველაზე მეტად რომელმა ორგანიზაციებმა გამოიჩინეს თავი?

— დღეისთვის 80-მდე დამოუკიდებელი ტურისტული ორგანიზაცია და დაწესებულებაა. ესენია ტურისტული ბაზები, კლუბები, სასტუმროები, კემპინგები, საექსკურსიო სამოგზაურო ბიუროები, საკონტროლო-სამაშველო სამსახური, ავტომეურნეობები და სხვა. მათ შორის ახალი კონსტიტუციის წლისთავს ყველაზე უკეთ შეხვდნენ სოხუმისა და მცხეთის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროები, ქუთაისის ავტოკემპინგი და ავტობაზა, შოვის ტურბაზა და აჭარის საოლქო საბჭოს იჯარით აღებული „განთიადის“ ტურბაზა. მათ ვადაზე ადრე გვიპატაკეს გეგმა-ვალდებულებების შესრულება.

— ახალი კონსტიტუციის მიღებიდან რა სიახლე იყო ტურისტთა უკეთ მომსახურების საქმეში?

— წლეულს მწყობრში შევიდა 500-ადგილიანი ვაკის ტურისტული სასტუმრო, ცხინვალის 240 ადგილიანი ტურბაზა და ვარძიის 280 ადგილიანი ტურისტული სასტუმრო. რადგან სიახლეებსა და მიღწევებზე ვსაუბრობთ, აქვე უნდა გავიხსენოთ ჩვენი სამშო ტურისტების მიერ მოპოვებული წარმატება, როშლებმაც ახლახან ყაზბეგში გამართულ საკავშირო შეკრებაშეჯიბრებაში III ადგილი მოიპოვეს. და კიდევ, თუ შეიძლება ასე ითქვას, როცა წმინდა სპორტულ ტურიზმზე ვლაპარაკობთ, უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში ხუთი ისეთი საკავშირო მარშრუტი გადის, რომლის დროს ტურისტები სამ-ოთხდღიან ტურისტულ ლაშქრობებს ატარებენ. ასეთ ლაშქრობებში 15 ათასამდე კაცი მონაწილეობს. ამის შემდეგ ისინი „სსრ კავშირის ტურისტის“ სამკერდე ნიშნებსა და მოწმობებს ღებულობენ. სულ კი ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე 65 საკავშირო ტურისტული მაშრუტი გადის. ეს ხუთით მეტია შარშანდელთან შედარებით.

უახლოეს ხანში რა სიახლეებია მოსალოდნელი?

— გაისად რამდენიმე ტურისტული ბაზა შევა მწყობრში. მაგრამ ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ მრავალი წლის შესვენების შემდეგ კვლავ ესტუმრებიან დამსვენებლები მესტიის რაიონს. ისინი ცენტრალური კავკასიონის უღელტეხილებზე: ბენო-დონღუზორუნიდან ტვიბერზე გაელთ მესტიამდე, იქიდან კი შაკი ზღვისპირეთისკენ გაემგზავრებიან.

საუბარი ჩაიწერა.

ა. რაჰველიშვილმა.

საგზეიმო განწყობილებით

კავშირის ახალი კონსტი-...ერთი წლისთავამდე დარჩე-...ებში ჰიათურის შრომე-...ებითა და სიხარუ-...ბდნენ. ცნობილმა ჰია-...ა. მაღაროელმა, სკკპ XXV ...ელეგატმა გ. ბაქრაძემ ...ადნის მოპოვების X ...ა დავალება უკვე შეას-...ა მეთრომეტე ხუთწლედის ...ა შესაბამს. თავისი შრო-...ეწეა მან სსრ კავშირის ...ონსტიტუციის წლისთავს ...ა. ალევე დამკვრელურად ...ეწყალ...ა ...ევრი ჰიათურელი სა-...ა. შრომითი საჩუქარი ...ღირსშესანიშნავ თა-...ა, რომ მაღაროელთა ...ეული არ არის, მხოლოდ ...ანმრთელობა, გამოწრთო-...ბა, გამძლეობა და ...ეგა მაღაროებში შრო-...ონ...ზე წარმატების გა-...ა. ...ამ საქმეში ეხმარე-...ა ...ეტურა და სპორტი. ...ეს 99 ფიზკულტურულ ...ეში 15 ათასამდე მშრო-...ეთანებული. სსრ კავ-...ა ...ონსტიტუციის პირ-...ისთვის წინ „ლელას“ ...ა ...ესაუბრა ჰიათუ-...ა ...ალაქო სპორტკომიტეტის ...ეპაიძეს. საუბრის თემა იყო „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჰიათურაში“.

— ახალ კონსტიტუციაში ფიზკულტურასა და სპორტს რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი, მაგრამ რამდენის მომცველია ეს სტრიქონები, — ამბობს გულადი. — მასში გამოხატულია ჩვენი მთავრობის უდიდესი ზრუნვა ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის, მშრომელთა ჯანმრთელობისთვის, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისთვის. სულ ერთი წელია, რაც მოქმედებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენს ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა. მაგალითად, ახლახან მწყობრში ჩადგა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ 50-მეტრიანი დახურული ტირი, 25-მეტრიანი ტირები მიიღეს ვ. ი. ლენინის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროების სპორტსმენებმა და ფიზკულტურელებმა. წლეულს გაეღო კარი პირველ სტუმრებს ქალაქის სპორტკომიტეტის 25-მეტრიანმა აუზმა. ამჟამად შენდება 5000-ადგილიანი სტადიონი. ფიზკულტურის კოლექტივებში ბევრი რამ გაკეთდა: 12 ფეხბურთის მინდორი, კალათბურთის 8 და ფრენბურთის 7 მოედანი, ერთი საჩოგბურთო კორტი. ეს სოლიდური დანამატია ჰიათურაში უწინ არსებულ ბაზებზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მშდ კომპლექსის დანერგვას ტის განვითარებისთვის, მშრომელთა ჯანმრთელობისთვის, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისთვის. სულ ერთი წელია, რაც მოქმედებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენს ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა. მაგალითად, ახლახან მწყობრში ჩადგა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ 50-მეტრიანი დახურული ტირი, 25-მეტრიანი ტირები მიიღეს ვ. ი. ლენინის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროების სპორტსმენებმა და ფიზკულტურელებმა. წლეულს გაეღო კარი პირველ სტუმრებს ქალაქის მაღაროებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ჩვენი ქალაქის სკოლებში. მშდ მრავალუფლებელთათვის გვაქვს საუკეთესო ბაზა — სპორტკომბინატი „მაღაროელი“, სადაც არის სტადიონი, ტირი და აუზი, რომლებშიც დიდი მასშტაბის შეჯიბრებების ჩატარება შეიძლება. ამისი მაგალითია ახლახან მშდ მრავალუფლებაში აქ ჩატარებული რესპუბლიკის პირველობა. ჩვენს ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს, აგრეთვე, ტურიზმი, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ცურვა, მძლეოსნობა, ძალოსნობა, სროლა და სპორტის სხვა სახეობა. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავისთვის მომზადდა 52 პირველთანრიგოსანი, 1800-მდე მეორე და მესამეთანრიგოსანი, 3000-ზე მეტი მოზარდთა თანრიგის სპორტსმენი. 6000-მდე კაცმა შეასრულა მშდ კომპლექსის ნორმატივი. ახლახან ფეხბურთელთა გუნდმა „მაღაროელმა“ საქართველოს თასი მოიპოვა, რითაც დიდად გაახარა ჩვენი სპორტსმოყვარულები. იგი წარმატებით გამოდის რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში და იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის. სასიხარულოა კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების წარმატება. მათ რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველ ტურში II ადგილები დაიკავეს. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ტაშკენტში თავი გამოიჩინა ჩვენმა მოფარიკავემ გ. დარბაიძემ, რომელმაც ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. რესპუბლიკაში ცნობილი არიან ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდაველები — ჰ. გოქსაძე და ნ. ჭუმბურიძე, მოკრივე გ. ვაშაძე, მძლეოსანი გ. ბურძგინიძე და სხვები. წაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელები ა. თურმანიძე, რომელმაც სამი სპორტის ოსტატი აღზარდა, რ. ჩხეიძე, თ. ლორთქიფანიძე, ფიზკულტურის მეთოდისტები ზ. შარიქაძე, შ. გამყრელიძე, ლ. ფხაკაძე და სხვ.

საუკეთესო ფიზკულტურულ კოლექტივთა შორის მინდა დავასახელო „ჰიათურმარგანეცის“ ცენტრალური ელექტრო-მექანიკური საწარმოს კომბინატი, ვ. ი. ლენინის, ს. ორჯონიკიძის, მ. კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველოების, № 8 საშენებლო ტრესტის კოლექტივები.

ჩვენს ქალაქში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა აღმავლობას განიცდის. ყველაფერი ეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისა და სპორტული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ზრუნვის შედეგია. თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში ყველა მატერიალური და სულიერი ფასეულობა ადამიანის ჰარმონიულ, ფიზიკურ, სულიერ განვითარებას, მის კეთილდღეობას ემსახურება. და ეს ყველაფერი განხორციელებულია კონსტიტუციით — განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის ძირითადი კანონით. აი, რატომაა, რომ ქალაქ ჰიათურის ფიზკულტურელები და სპორტსმენები 7 ოქტომბერს საზეიმო განწყობილებით ხვდებიან.

ბ. ქვათაძე.



დიდი პაექრობის ფინიში

ქალთა ჭადრაკის სამყაროს ახალი, მეექვსე მსოფლიო ჩემპიონი მოვეღინა. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა, 17 წლის მაია ჩიბურდანიძემ უმძიმეს პაექრობაში სძლია ნონა გაფრინდაშვილს. ეს იყო მე-18 შეჯიბრება ქალთა მსოფლიო პრეველობის ისტორიაში.

დიდია მაია ჩიბურდანიძის წარმატება. იგი თითქმის ორი წელი იბრძოდა მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის თამაშის უფლებისთვის. ნიჭიერ გოგონას მოუხდა ბრძოლა უძლიერეს პრეტენდენტებთან. მას მუდამ სწამდა თავისი ძალისა და მიისწრაფოდა გამარჯვებისკენ. მან პრეტენდენტთა შესარჩევ მატჩში დაამარცხა ნ. ალექსანდრია (+4—2=5), ე. ახმილოვსკაია (+4—3=5) და ა. კუშნირი (+4—3=7). ფინალური მატჩის წინ კი მკერდი სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლით დაამშვენა.

მაია ჩიბურდანიძის შედეგები მის საოცარ ნიჭიერებაზე მეტყველებს. მართლაც, მაიამდე მოჭადრაკეთაგან 13 წლის სსრ კავშირის სპორტის ოსტატი და საერთაშორისო ოსტატი, 15 წლის საერთაშორისო დიდოსტატი, სსრ კავშირის ჩემპიონი და 17 წლის პრეტენდენტი და მსოფლიო ჩემპიონი არავინ გამხდარა. ისიც უნდა ითქვას, რომ მაიას მუდამ ჰყავდა მუყაითი მწვრთნელები (მატჩში სეკუნდანტობას უწევდა დიდოსტატი თამაზ გორგაძე).

ახლა მაია ჩიბურდანიძე, როგორც მსოფლიო ჩემპიონი, მიიღებს ქალთა შორის სსრ კავშირის დიდოსტატის და ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატის წოდებებს.

ქართველ მოჭადრაკე ქალთა დიდი წარმატებები და მაია ჩიბურდანიძის ეს საამაყო გამარჯვებაც ნონა გაფრინდაშვილის თავდადებული მოღვაწეობის ნაყოფია. ორ ათეულ წელზე მეტია ნონა დაუღალავად, დიდი ენთუზიაზმით იღვწოდა ქალთა საჭადრაკო მოძრაობის განვითარებისთვის. მისი ღვაწლია, რომ დღეს ქალთა ჭადრაკს მსოფლიოში დიდი პატივი და ავტორიტეტი აქვს. იგი მუდამ იყო და იქნება წინსვლის, მებრძოლი სულის ბრწყინვალე მაგალითი. ნონას ბრძოლა ქალთა და ვაჟთა ჭადრაკის დაახლოებისთვის - ახლაც გრძელდება. შემთხვევითი როდია, რომ ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის ბალი მხოლოდ ნონას აქვს. ეჭვი არ არის, რომ სასიქადულო მოჭადრაკე შემდგომშიც ბევრჯერ ისახელებს თავს.

ვფიქრობ, ბიჭვინთის მატჩის ფინიშით სტარტი აიღო ჭადრაკის დედოფლის ტახტისთვის ხანგრძლივმა ბრძოლამ ნონასა და მაიას შორის. ნონას უფლება აქვს ქალთა მსოფლიო პირველობის ახალ ციკლში (1978-1981 წწ.) ბრძოლას შეუდგეს პრეტენდენტთა მატჩებიდან (1980.), რომ 1981 წელს კვლავ შეხვდეს მაიას უმაღლეს დონეზე.

გაფრინდაშვილ — ჩიბურდანიძის მატჩი მუდამ დაამშვენებს მსოფლიოს, საბჭოთა და ქართული ჭადრაკის მატიანეს და მას ბევრჯერ დაუბრუნდებიან მოჭადრაკეები, სპეციალისტები და ჟურნალისტები.

თ. ბიორგაძე.

* * *

სურათზე: გადადებულ პარტიაში თამაშის განახლების წინ — მატჩის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი ი. შაიტარი (ჩეხოსლოვაკია) და მეტოქენი — მაია ჩიბურდანიძე და ნონა გაფრინდაშვილი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

ჭადრაკი

დღეს გაიმართება

4 ოქტომბრს ბაგიოში (ფილიპინები) ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XXIX პარტია უნდა გამართულიყო, მაგრამ პრეტენდენტმა წუთ-შესვენება აიღო. ამ პარტიის თამაში 7 ოქტომბერს დაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ წინაა ა. კარპოვი — 5:3 (20 ყაიმი).

მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა

სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპირნატის ფინალში, რომელიც ნიკოლაევში მიმდინარეობს, გუშინწინ II ტურის პარტიები გათამამდა, როგორც I ტურში, ისე ამ დღეს მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ო. პედკომ (ჩელიაბინსკი) მოუგო ლ. პოლნაროვას (ლენინგრადის ოლქი), ო. სემიონოვამ (კიევი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი), ნ. ტატორენკო და ვ. სტერნინა (ორიგე — მოსკოვი) ყაიმზე შეთანხმდნენ.

ფეხბურთი

კონტინენტის პირველობაზე

III ჯგუფი

ზაგრებში შედგა იუგოსლავიისა და ესპანეთის გუნდების მატჩი. ესპანელებმა ძლიერად ჩაატარეს თამაში და დაამარცხეს მასპინძლები ანგარიშით 2:1.

პირველი გოლი ესპანელმა ხუანიტომ გაიტანა მე-20 წუთზე, ხოლო 12 წუთის შემდეგ სანტილიანამ მეორედ აიძულა იუგოსლავიელები ცენტრიდან დაიწყოთ თამაში. მაქსიმუმი, რაც მასპინძლებმა შეძლეს, ეს იყო ხალილბეგოვიჩის მიერ 45-ე წუთზე გატანილი ერთადერთი საპასუხო ბურთი.

IV ჯგუფი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა ქ. ჰალეში მიიღეს ისლანდიის გუნი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 (2:1). მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს პეტერმა, რიდიგერმა და ჰოფმანმა. ისლანდიელთა ერთადერთი გოლის ავტორი იყო პეტურსონი (პენალტი).

V ჯგუფი

სტოკჰოლმში თამაშობდნენ შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა: ბორგმა ზუსტად დაარტყა პენალტი. შემდგომში ჩეხოსლოვაკიელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და გაიმარჯვეს — 3:1. 2 გოლი გაიტანა მასნიმ, 1 — ნეხოდამ.

შვეციის ნაკრების შემადგენლობაში 115-ე საერთაშორისო მატჩი ჩაატარა მცველმა ნორდკვისტმა.

თამაშობენ ნაკრები გუნდები

ანკარა, 5 ოქტომბერი. ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის სამზადისის პროგრამით სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა თურქეთის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

ანგარიში 37-ე წუთზე გახსნა საბჭოთა გუნდის თავდამსხმელმა გუცაევმა, რომელმაც თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში. 4 წუთის შემდეგ ბლოხინი პირისპირ დარჩა თურქების მეკარე შენოლთან და მეორე გოლი გაიტანა.

შესვენების შემდეგ სტუმრებს რამდენიმე შესაძლებლობა მიეცათ გაზარდათ ანგარიში, ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ თურქებსაც, მაგრამ საბჭოთა გუნდის დაცვა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნ. სიმონიანმა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ გუნდის ამ „რეპეტიციას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უნგრეთის ნაკრებთან 11 ოქტომბრის შესარჩევი მატჩის წინ და ფეხბურთელებმა კარგი მომზადება გამოამჟღავნეს. კერძოდ, მან აღნიშნა, კმაყოფილება თბილისელი ფეხბურთელის გუცაევის კარგი თამაშით, რომელიც ხელახლა იქნა მიწვეული გუნდში და ამ მატჩში კარგად ურთიერთმოქმედებდა ბლოხინთან.

თურქების უფროსმა მწვრთნელმა მ. ტიუფერმა განაცხადა, რომ საბჭოთა გუნდი ევროპის ძლიერი, იგი ყოვლისმხრივ.

ბაკურ სულაკველიძე ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: **გონტარი, კონკოვი, უუპიკოვი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, ბერეუნოი, ბურიაკი, ბესონოვი, გუცაევი, ხიდიატულინი, ბლოხინი.** მეორე ტაიმში **ხიდიატულინი** შეცვალა **იარცევმა,** ხოლო **ბლოხინი — ჩესნოკოვმა.**

ვარშავა, 5 ოქტომბერი. სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა (ასაკი 21 წლამდე) ამხანაგური საერთაშორისო მატჩი წააგო პოლონელ თანატოლ ფეხბურთელებთან — 1:2.

შეხვედრის დასაწყისში ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (პონომარიოვი). მე-19 წუთზე პოლონელებმა გაქვითეს გოლი, შეხვედრის დასასრულს კი გადამწყვეტი გოლი გაიტანეს.

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. აქ შედგა საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის II ნაკრებ გუნდსა და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა — 2:0. ბურთები გაიტანეს კალაშნიკოვმა და გლადილინმა.

II ნაკრები გამოდიოდა, ასეთი შემადგენლობით: რომენსკი, ლოზინსკი, ბოკი (ვასილიევი), შვეცოვი, რომანცევი, ტარხანოვი, უსტიმჩიკი (პეტრაკოვი), გავრილოვი, შავლო, რეზნიკი, კოლესოვი. აღსანიშნავია, რომ რომანცევი, გავრილოვი და შავლო სპარტაკელები არიან.

ძაღლსნობა

ქალაქ გეტისბერგში გამართულ ძაღლსანთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველ დღეს 52 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ფრუნზელმა ძაღლსანმა, ევროპის ჩემპიონმა კ. ოსმანალიევმა ორკიდის ჯამში 240 (105+135) კილოგრამი მოაგროვა და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლით დაამშვენა მკერდი. II ადგილზეა პოლონელი თ. გოლიკა — 237,5 (105+132,5), მესამეზე — კუბელი ფ. კასამაიორი — 230 (102,5+127,5).

56 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ყველას აჯობა დანიელ ნუნესმა (კუბა) — 260 (117,5+142,5), II-III ადგილები კი თანამიმდევრულად ასე განაწილდა: მ. სევერინი (პოლონეთი) — 252,5 (115+137,5) და კ. ანდო (იაპონია) — 252,5 (107,5+145). საბჭოთა ძაღლსნები ამ წონით კატეგორიაში არ მონაწილეობდნენ.

ველოსპორტი

სასარგებლო კორექტივები

თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე მომდინარე წყვილთა ჯგუფურ ექვსდღიანი ასპარეზობის მონაწილეთა ბრძოლაში ერთგვარი კორექტივი შეიტანა ძლიერმა ქარმა, რომელმაც თბილისს გადაუარა. იმ დღეს ფინალური ბოლო ორი ეტაპი უნდა გამართულიყო, მაგრამ სარბიელზე გამოსვლა შეუძლებელი გახდა და დაქანცულმა სპორტსმენებმაც ერთი დღით დაისვენეს.

მანამდე, როგორც ვიტყობინებოდით, საგრძნობლად დაწინაურდნენ მოსკოველი ა. ილარიონოვისა და კიშინიოველი ი. რიბაჩენკოს დუეტი, რომელსაც ქულების ისეთი მარაგი ჰქონდა, რომ ფაქტიურად მისი ჯობნა არავის შეეძლო, მაგრამ არც ილარიონოვსა და არც რიბაჩენკოს უარი არ უთქვამთ უკანასკნელ სტარტებში გამოსულიყვნენ.

გადამწყვეტი ბრძოლების წინ ჟურნალისტებთან საუბარში ილარიონოვმა განაცხადა, რომ რიბაჩენკოსთან ერთად ძალა პირველად შარშანწინ სცადა და პარტნიორის სიძლიერით კმაყოფილი იყო, მაგრამ შარშან ტრავმის გამო ისინი სტარტზე ერთად ვეღარ გამოვიდნენ. წლეულს ამ დუეტმა შესანიშნავი თვისებები გამოავლინა და ექვსდღიან ბრძოლაში 12 ეტაპის ჯამში საგრძნობლად ჩამოიტოვა ვერცხლის პრიზიორები — რიგელი ა. ოსიპოვი და კიშინიოველი ა. მარტინოვი.

ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები ერგო რიგელთა დუეტს — ა. მარტინოსნსა და ა. ბუროვს, რომელსაც მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩნენ კრასნოდარელი ვ. ეფოვი და გორკელი ო. ჩერტოვი.

ჯ. ბარათაშვილი.

3 მსოფლიო რეკორდი თბილისის ტრეკზე

თბილისის ველოტრეკზე დამთავრდა პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს ჩემპიონატი. ასპარეზობის 4 დღის მანძილზე აქ 3 მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ჯერ ლენინგრადელმა გ.ცარიოვამ 5 კილომეტრზე რბოლაში მოხსნა იტალიელ მ. კრისარის რეკორდი. ცარიოვას შედეგია 6.50,53. მერე მანვე 500 მეტრზე სვლით 1,1 წამით გაუმჯობესა ლ. რაზუვაევას ადრინდელი მიღწევა — 32,8. ბოლოს, ცარიოვას თანაგუნდელმა ვ. კუზნეცოვამ დაამხო იმავე კრისარის მსოფლიო რეკორდი 10 კილომეტრზე რბოლაში. მან ეს დისტანცია 13.54,68-ში გაიარა.

პირველი ოქროს მედალი

ყირიმის გზებზე დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი მრავალდღიან ველორბოლაში — გზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზის გათამაშება. მე-11 ეტაპზე (ქერჩიდან ფეოდოსიამდე) იმარჯვა ი. პეტროვმა (ლენინგრადი) — 3:29.40. ხოლო შემდეგ, ბოლო მე-12 ეტაპზე (ფეოდოსია — სიმფეროპოლი), ყველას აჯობა კიშინიოველმა ი. მოსკალიოვმა — 3:13.23.

ჩემპიონატის 10 დღის მანძილზე მონაწილეებმა ძნელ სამთო ტრასაზე 1440 კილომეტრი გაიარეს. საბოლოოდ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა არმიელმა ს. სუბორუჩენკომ. ეს ამ 22 წლის კუიბიშეველი სპორტსმენის პირველი ოქროს მედალია.

საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლისა და ოქროს მედლებიც გამარჯვებულის თანაქალაქელებსა და თანაკლუბელებს ხვდათ წილად. II ადგილზე გავიდა მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებული ა. ავერინი — 35:08.04. III — ნაკრების კაპიტანი ა. გუსიატნიკოვი — 35:08.42.

„სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზი გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის გადაეცა რსფსრ-ს სპორტსმენებს. მათვე მიიღეს ოქროს მედლები, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ კუიბიშევისა და მოლდაველთის ნაკრები კოლექტივები.

პრეტენდენტთა რიგები შეივსო

სანამ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია თავის სხდომაზე აზუსტებდა 1979 წლის საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ვადებსა და მონაწილეთა ვინაობას, მსოფლიოს პირველობის შესარჩევი შეხვედრებიც დასრულდა. ფინალის მერვე მონაწილე იტალიის გუნდი გახდა.

ამასობაში სხდომამ მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება. ორივე კონტინენტი — ამერიკაცა და ევროპაც, წარმოდგენილი იქნება ხუთ-ხუთი გუნდით. ეარაუდობენ, რომ ძველი სამყაროს ღირსებას დაიცავენ სსრ კავშირის (მარშანდელ თასში გამარჯვებული), იუგოსლავიის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის გუნდები, ამერიკის კონტინენტისას — აშშ, ბრაზილია, არგენტინა, კანადა, პუერტო-რიკო. მაისში ევროპელები მიიღებენ ოკეანისგადმელ მეტოქეებს, აგვისტოში თვითონ გაემგზავრებიან საპასუხო მატჩების გასამართავად.

ახლა კი ისევ მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ.

გუშინ მანილაში დაიწყო ფინალური შეხვედრები. სსრ კავშირის ნაკრები ეთამაშებოდა ავსტრალიელებს, რომლებმაც ჩინეთელად ჩაატარეს წინასწარი ტურნირი — დამარცხეს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ჩეხოსლოვაკიის გუნდი და მხოლოდ ორი ქულით წააგეს მატჩი ოლიმპიურ ჩემპიონთან, აშშ-ს ეროვნულ ნაკრებთან.

მასპინძლები, ფილიპინელი კალათბურთელები ხვდებოდნენ იუგოსლავიელებს, აშშ — იტალიას, კანადა — ბრაზილიას.

8 უძლიერესის ტურნირი დამთავრდება 13 ოქტომბერს. შემდეგ დღეს კი I და II ადგილზე გასული კოლექტივები მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

სპორტულ გაზეთებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 7 ოქტომბერი. ასკ-ს სტადიონი. **ასკ თბილისი — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა).** დასაწყისი 11 ს. მაუდ-კამეოლის კომბინატის სტადიონი. **პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ფეტალურგი“ (რუსთავი).** 14 ს.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — УЭ 13312